N 10729/09 14/06/2023

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 289/2023

ქ. თბილისი

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსს ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს სენაავტო (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მირიანი გვასალიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ტრაქტორის საბურავების შეკეთებასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV:50112000) შესყიდვა.

2.2. სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს კუთვნილი იმ ტრაქტორების მონაცემების ჩამონათვალი, რომელთაც უნდა გაეწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №**1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4,000 (ოთხი ათასი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამა - აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.

3.3. გასაწევი მომსახურების პრეისკურანტი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №2**-ში.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი.

4.1. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ტრაქტორის მიყვანიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში გასწიოს მომსახურება.
4.3. მომსახურების გაწევის ტერიტორიაა - სენაკი ღვინჯილიას 8.
4.4. ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას აღნიშნული ერთეულის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის პრეისკურანტის ჯამურ ღირებულების 10%-ს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;
5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაწევის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.5. გასწიოს მომსახურება დადგენილი ხარისხითა და სტანდარტებით;
5.6. განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
5.7. შემსყიდველის მოთხოვნით გასწიოს ისეთი სახის მომსახურება, რომელიც არ არის ასახული პრეისკურანტში. აღნიშნულ შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება საბაზრო ფასის მიხედვით, მხარეთა შეთანხმებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. ამასთან ყოველი ასეთი მომსახურების ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების **10%-ს (310 ლარი)**.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური მომსახურებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს თანამშრომლები: ივანე კირვალიძე და რამაზ ფონაძე;
7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
7.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

7.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

10. ფასები.

10.1. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე, დანართი №2-ის სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლო.

12.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

12.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულებების 10%-ის ოდენობით.

12.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებლისთვის ჩასარიცხი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

12.7. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

12.8. ვადის გადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრივ ალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

დანართი №1

#	დასახელება	შასის ნომერი
1	NEW HOLLAND	HFD185845
2	NEW HOLLAND	HFD185847
3	NEW HOLLAND	HFD185849
4	NEW HOLLAND	HFD185851
5	NEW HOLLAND	HFD185856
6	NEW HOLLAND	HFD185863
7	NEW HOLLAND	HFD185866
8	NEW HOLLAND	HFD185868
9	NEW HOLLAND	HFD185870
10	NEW HOLLAND	HFD185871
11	NEW HOLLAND	HFD185874
12	NEW HOLLAND	HFD191637
13	NEW HOLLAND	HFD191614
14	NEW HOLLAND	HFD191707
15	NEW HOLLAND	HFD191784
16	NEW HOLLAND	HFD191509
17	NEW HOLLAND	HFD191774
18	LOVOL	MM931N
19	LOVOL	MM932N
20	LOVOL	MM933N
21	LOVOL	MM934N
22	LOVOL	MM935N
23	LOVOL	MM936N
24	LOVOL	MM937N
25	LOVOL	MM938N
26	LOVOL	MM939N
27	LOVOL	MM940N
28	LOVOL	MM941N
29	LOVOL	MM942N
30	LOVOL	MM943N
31	LOVOL	MM944N
32	LOVOL	MM945N
33	LOVOL	MM946N
34	LOVOL	MM947N
35	LOVOL	MM948N
36	LOVOL	MM949N
37	LOVOL	MM950N

დანართიN2

#	დასახელება	რაოდ	განზ	თანხა(დღგ)
1	საბურავის დაკერება 5 მმ (12.4-R24)	1	ცალი	48.00
2	საბურავის დაკერება 10 მმ (12.4-R24)	1	ცალი	63.00
3	საბურავის დაკერება 15 მმ (12.4-R24)	1	ცალი	75.00
4	საბურავის დაკერება 20 მმ (12.4-R24)	1	ცალი	90.00
5	საბურავის დაკერება 25 მმ (12.4-R24)	1	ცალი	105.00
6	საბურავის დაკერება 30 მმ (12.4-R24)	1	ცალი	115.00
7	საბურავის დაკერება 35 მმ (12.4-R24)	1	ცალი	130.00
8	საბურავის დაკერება 5 მმ (14.4-R24)	1	ცალი	48.00
9	საბურავის დაკერება 10 მმ (14.4-R24)	1	ცალი	63.00
10	საბურავის დაკერება 15 მმ (14.4-R24)	1	ცალი	75.00
11	საბურავის დაკერება 20 მმ (14.4-R24)	1	ცალი	90.00
12	საბურავის დაკერება 25 მმ (14.4-R24)	1	ცალი	105.00
13	საბურავის დაკერება 30 მმ (14.4-R24)	1	ცალი	115.00
14	საბურავის დაკერება 35 მმ (14.4-R24)	1	ცალი	130
15	საბურავის დაკერება 5 მმ (18.4-R30)	1	ცალი	75
25	საბურავის დაკერება 10 მმ (18.4-R30)	1	ცალი	90
26	საბურავის დაკერება 15 მმ (18.4-R30)	1	ცალი	100
27	საბურავის დაკერება 20 მმ (18.4-R30)	1	ცალი	125
28	საბურავის დაკერება 25 მმ (18.4-R30)	1	ცალი	132
29	საბურავის დაკერება 30 მმ (18.4-R30)	1	ცალი	145
30	საბურავის დაკერება 35 მმ (18.4-R30)	1	ცალი	152
31	საბურავის დაკერება 5 მმ (18.4-R34)	1	ცალი	75

32	საბურავის დაკერება 10 მმ (18.4-R34)	1	ცალი	90
33	საბურავის დაკერება 15 მმ (18.4-R34)	1	ცალი	100
34	საბურავის დაკერება 20 მმ (18.4-R34)	1	ცალი	125
35	საბურავის დაკერება 25 მმ (18.4-R34)	1	ცალი	132
36	საბურავის დაკერება 30 მმ (18.4-R34)	1	ცალი	145
37	საბურავის დაკერება 35 მმ (18.4-R34)	1	ცალი	152
38	საბურავის დაშლა აწყობა (12.4-R24)	1	ცალი	35.00
39	საბურავის დაშლა აწყობა (14.4-R24)	1	ცალი	35.00
40	საბურავის დაშლა აწყობა (18.4-R30)	1	ცალი	70.00
41	საბურავის დაშლა აწყობა (18.4-R34)	1	ცალი	70.00
		სულ ჯამი:		3,100

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს სენაავტო**
ს. კ. - 205142200 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 მომსახურე ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - TRESGE22 სახაზინო კოდი : 220101222 ანგარიშის ნომერი: 200122900	ს. კ. -439863934 ფაქტობრივი მისამართი: სენაკი ღვინჯილიას 8 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE52BG0000000711238600 ელ. მის:mirianigvasalia6@gmail.com ტელ: 599499594
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი national food agency Digitally signed by national food agency Date: 2023.06.15 12:45:23 +04'00'	**დირექტორის** _____ **მირიანი გვასალია**

ზურაბ ჩეკურაშვილი

Mirian Gvasalia 39001000127 Digitally signed by Mirian Gvasalia Date: 2023.06.15 11:22:47

სააგენტოს უფროსი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო